



**"ენერგოეფექტურობის  
ცენტრის"  
ყოვალკვირული  
საინფორმაციო  
ბიულეტენი**

N 45, 2023

# სარჩევი

ნავთობი და გაზი .....	2
ბირჟაზე გაზის ფასი შემცირდა - მიზეზები.....	2
EUObserver: ესპანეთმა და ბელგიამ რუსული თხევადი გაზის იმპორტი გააორმაგეს .....	2
ელექტროენერგეტიკა.....	4
"ნამახვანის, ნენსკრას, ხუდონის პროექტები შესაძლოა, ძალიან მოკლე პერიოდში განხორციელდეს" .....	4
2023 წელს 100 მგვტ-ის პროექტები შევა ექსპლუატაციაში - ეკონომიკის მინისტრი .....	4
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	5
USAID-ი ენერგეტიკული საპილოტე პროექტების განსახორციელებლად მეორე კონკურსს აცხადებს.....	5
განახლებად ენერჯიებზე ცნობიერების ამაღლების კამპანია გრძელდება.....	6
კლიმატის ცვლილება.....	6
ევროკავშირისა და ჩინეთის მაღალჩინოსნები კლიმატის სფეროში მოლაპარაკებებს მომავალ კვირას გამართავენ.....	6
ევროპარლამენტარების მიერ მხარდაჭერილი ჰაერის დაბინძურების სტანდარტი "უსარგებლოზე უარესია".....	7
ღონისძიებები .....	7

## ნავთობი და გაზი

### ბირჟაზე გაზის ფასი შემცირდა - მიზეზები

დასავლეთის მასშტაბით ბუნებრივი აირის ფასების შემცირების ტენდენცია ფიქსირდება. აშშ-ში გაზის ფასი ერთ კვირაში 14%-ით შემცირდა; ბრიტანეთში კორექციის მაჩვენებელი 5%-ს შეადგენს; ევროკავშირში კი გაზის ღირებულება დღის განმავლობაში დაახლოებით 4.5%-ითაა შემცირებული.

ევროპაში მეგავატი-საათი ენერჯის ღირებულება 46 ევროს ფარგლებში მერყეობს, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი გაზის ფასი ბირჟაზე 53%-ითაა შემცირებული.

ბუნებრივი აირის გაიაფებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ევროკავშირის ახალ ენერგეტიკულ სტრატეგიასაც, რომელიც ხარჯების შემცირებას და ენერჯის მაქსიმალურად დაზოგვას ითვალისწინებს, ეს სტრატეგია განსაკუთრებით ეფექტური მსხვილ საწარმოებთან მიმართებით აღმოჩნდა, რომლებიც ყველაზე დიდი რაოდენობით ენერჯიას მოიხმარენ.

კიდევ ერთი ფაქტორი სტრატეგიული რეზერვების შევსებას უკავშირდება, ამჟამად ევროკავშირის ენერგეტიკული რეზერვების 95% შევსებულია, რაც იმის გარანტიას წარმოადგენს, რომ რეგიონში ბუნებრივი აირის მწვავე დეფიციტი არავითარ შემთხვევაში არ დადგება, მიუხედავად ცივი ზამთრისა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი კი ევროკავშირის ენერგეტიკული სისტემის გადაწყობას უკავშირდება. უმოკლეს პერიოდში ევროკავშირის წამყვანი ეკონომიკები ბუნებრივი აირიდან თხევად გაზზე გადაერთნენ. ათამდე LNG პორტი თითქმის სამ თვეში აშენდა, რაც ნამდვილად უპრეცედენტო მაჩვენებელია. თხევადი გაზის წყალობით ევროკავშირმა რუსეთის ჩანაცვლება შეძლო, LNG-ის მთავარი მიმწოდებლები კი ამერიკის შეერთებული შტატები და კატარი გახდნენ.

გარდა ამისა, დასავლეთი აქტიურად მუშაობს ალტერნატიული მიწოდების წყაროებზე, მათ შორის, ახალი კონტრაქტები ფორმდება აზერბაიჯანთან, თურქეთთან და გალფის ქვეყნებთან.

წყარო: bm.ge - <https://bm.ge/news/birzhaze-gazis-fasi-shemtsirda-mizezebi>

### EUObserver: ესპანეთმა და ბელგიამ რუსული თხევადი გაზის იმპორტი გააორმაგეს

ევროპამ მიმდინარე წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით, რუსული თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) თითქმის იმავე რაოდენობის იმპორტი მოახდინა, რაც – გასული წლის ამავე პერიოდში, თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში შესამჩნევი ზრდა დაფიქსირდა.

ამის შესახებ ენერგეტიკის ეკონომიკისა და ფინანსური ანალიზის ინსტიტუტის (IEEFA) ანგარიშშია ნათქვამი, – იტყობინება EUObserver-ი.

კერძოდ, აღნიშნულია, რომ ესპანეთმა და ბელგიამ რუსული თხევადი გაზის იმპორტი, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გააორმაგეს.

ესპანეთის მიერ ამ პერიოდში იმპორტირებული გაზის დაახლოებით 27% რუსეთიდან იყო, ბელგიაში კი – 37%. საფრანგეთმა 15% მიიღო.

გამოცემა წერს, რომ, 2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, ევროკავშირმა პირობა დადო, რომ შეამცირებდა რუსულ წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულებას, მაგრამ მალევე გაისმა შეშფოთება, რომ ის შეცვლიდა დაბინძურების ერთ ფორმას მეორეთი.

ახალი მონაცემები აჩვენებს, რომ ევროპის ქვეყნები აგრძელებენ LNG ინფრასტრუქტურის გაფართოებას, მიუხედავად იმისა, რომ LNG-ზე და გაზზე მოთხოვნა, როგორც არის მოსალოდნელი, უნდა შემცირდეს.

ევროპამ LNG-ს მიმღების სიმძლავრე გაზარდა – 2022 წლიდან ექსპლუატაციაში ექვსი ახალი LNG ტერმინალი შევიდა.

ახალი რეგაზიფიკაციის LNG ტერმინალების გეგმებმა უნდა მიიყვანოს ევროპული LNG მიმღების სიმძლავრე 406 მილიარდ კუბურ მეტრამდე. თუმცა, ინსტიტუტის პროგნოზებით, 2030 წელს LNG-ზე მოთხოვნა 150 მილიარდ კუბურ მეტრს არ გადააჭარბებს, რაც პოტენციურ სიჭარბეზე მიუთითებს.

“გაზზე მოთხოვნის შემცირება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თეზისს, რომ ევროპას მეტი LNG ინფრასტრუქტურა სჭირდება ენერგეტიკული უსაფრთხოების მიზნების მისაღწევად. მონაცემები აჩვენებს, რომ ეს ასე არ არის. ევროპის ქვეყნები რისკავენ გაცვალონ რუსულ მილსადენებზე დამოკიდებულება, LNG-ს სიჭარბეზე, რაც კონტინენტზე ფასების ცვალებადობას გამოავლენს”, – თქვა IEEFA-ს ენერგეტიკულმა ანალიტიკოსმა, ანა მარია ჯალერ-მაკარევიჩმა.

შეერთებული შტატებიდან LNG-ს იმპორტი 2022 წლიდან მკვეთრად გაიზარდა, რამაც აშშ ევროკავშირის მთავარ მიმწოდებლად გახადა, რომელიც ევროკავშირის მთლიანი მარაგების 46%-ს ავსებს.

ამ დროს რუსეთი მეორე ადგილზეა და ევროკავშირს LNG-ით მხოლოდ 12%-ით ამარაგებს.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის რუსული LNG-ის უმსხვილესი იმპორტიორი ესპანეთია, შემდეგ მოდის საფრანგეთი და ბელგია.

IEEFA-ს ანგარიშის მიხედვით, ჯამურად, ევროკავშირმა რუსეთის LNG-ზე დაახლოებით 5,5 მილიარდი ევრო დახარჯა.

წყარო: bfm.ge - <https://cutt.ly/DwYgwY6o>

## ელექტროენერგეტიკა

### "ნამახვანის, ნენსკრას, ხუდონის პროექტები შესაძლოა, ძალიან მოკლე პერიოდში განხორციელდეს"

ნამახვანის, ნენსკრას და ხუდონის პროექტები შესაძლებელია, ძალიან მოკლე პერიოდში განხორციელდეს - ამის შესახებ „ბიზნესპარტნიორს“ „საქართველოს მაღალი კაშხლების ეროვნული კომიტეტის“ თავმჯდომარემ დავით მირცხულავამ განუცხადა.

„მე სამივე პროექტს ვიცნობ და ვერ ნახავთ ქვეყანას, ვისაც ასეთი პროექტები ჰქონდეს და არ განახორციელოს, ასეთი პოტენციალი ჰქონდეს და არ აითვისოს. ამაზე ჩვენ ყველა ვსაუბრობთ, მაგრამ მეორე მხრივ, ზოგიერთი - ექსპერტს დავარქმევ, გამოდის და ამბობს, განახლებადი ენერჯია უნდა განვავითაროთ... განახლებადი ენერჯია ვერ განვითარდება, თუ ჩვენ ამ მანევრულ ჰიდროსადგურებს არ ავაშენებთ. ეს ეხება ჰიდროაკუმულაციურ, მარეგულირებელ ჰესებს, კაშხლიან ჰესებს, რომელიც მოგვცემს საშუალებას, რომ რაც შეიძლება მეტი განახლებადი ენერჯიის წყარო ინტეგრირდეს ჩვენს სისტემაში. ეს რესურსი, რომელიც ღმერთისგან გვაქვს ბოძებული, უნდა ავითვისოთ“ - აცხადებს დავით მირცხულავა.

მისივე თქმით, ახლა, გადამუშავებული პროექტების ახლებურად განხორციელების პერსპექტივა დიდია.

„ვხედავ პერსპექტივას იმით, რომ პროექტები ახლა გადამუშავების სტადიაშია, ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს და ვფიქრობ, რომ იმ ახალი მიდგომებით, რაც ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გააჟღერა, შესაძლებელია, ეს პროექტები ძალიან მოკლე ვადაში განხორციელდეს. რაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

ზოგადად, გაიჟღერა უამრავმა არასწორმა ინფორმაციამ. სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ბეტონის კაშხალი საერთოდ არ დანგრეულა არც ერთი სეისმური რისკის გათვალისწინებით და მაღალსაიმედოდ გამოიყურება. მაგრამ, არამც და არამც, არც ერთხელ მითქვამს, რომ არ უნდა მიექცეს სეისმური მდგრადობის კრიტერიუმებს ყურადღება. ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს. ამასთან, მეტი საუბარია მოსახლეობასთან საჭირო და ვფიქრობ, რომ ადამიანები მიხვდებიან, რომ ეს ის რესურსია, რომელიც უნდა ავითვისოთ“ - აცხადებს დავით მირცხულავა „ბიზნესპარტნიორთან“.

წყარო: [energynews.ge](https://cutt.ly/1wYgwHx4) - <https://cutt.ly/1wYgwHx4>

### 2023 წელს 100 მგვტ-ის პროექტები შევა ექსპლუატაციაში - ეკონომიკის მინისტრი

დაგეგმილია, რომ 2023 წელს 100 მგვტ-ის პროექტები შევიდეს ექსპლუატაციაში. ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, მომავალ წლებში ეს დინამიკა შენარჩუნდება.

„ჩვენ დაგეგმილი გვაქვს რომ 2023 წელს ექსპლუატაციაში 100 მგვტ-ზე მეტი შევიდეს, რაც ბოლო წლების განმავლობაში უპრეცედენტო შედეგი იქნება. ვაპირებთ, მომავალ წლებში ეს დინამიკა შევინარჩუნოთ, ვისაუბროთ არა მხოლოდ პროექტების შეკვრაზე, დაფინანსების მოძიებაზე, არამედ, უშუალოდ, პროექტების განხორციელებაზე და

დამატებითი ენერგოპოტენციალის გაჩენაზე ჩვენს ეკონომიკაში“ - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

მისივე თქმით, მთავრობა ახლა ე.წ. SFD მექანიზმით მეორე აუქციონის ჩატარებაზე მუშაობს, რაც საშუალებას გააჩენს, ინვესტორთა პროექტები სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერილი იყოს.

„კერძოდ, ფასის გარანტიებით. რაც მათ საშუალებას მისცემთ უფრო ადვილად შეძლონ ფინანსური რესურსის მობილიზება და პროექტების განხორციელება. დღესაც მორიგი რამდენიმე პროექტი გვექონდა მთავრობის სხდომაზე განხილული, ერთი - ეს არის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, მეორე კი რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში. ორივე ეს პროექტი განხორციელების სხვადასხვა ეტაპზეა“ - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

წყარო: [energynews.ge](https://cutt.ly/JwYgwCgO) - <https://cutt.ly/JwYgwCgO>

## განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

### USAID-ი ენერგეტიკული საპილოტე პროექტების განსახორციელებლად მეორე კონკურსს აცხადებს

USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამა კერძო სექტორთან ერთად ენერგეტიკული საპილოტე პროექტების განსახორციელებლად მეორე კონკურსს აცხადებს.

პროგრამის მიზანია 9 ენერგეტიკული საპილოტე პროექტის იდენტიფიცირება და მათი განხორციელების ხელშეწყობა.

საპილოტე პროექტი შეიძლება მოიაზრებდეს ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა: ენერგოეფექტურობა, მოთხოვნის მართვა, ენერჯის მართვის სისტემები და დივერსიფიცირებული, მდგრადი, განახლებადი ენერჯის წყაროები. ასევე შესაძლოა, მოიცავდეს მიკროპროექტებს, ქარის, მზის და ჰიდროენერგეტიკულ ტექნოლოგიებს.

პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ტექნიკური საკონსულტაციო ან/და მატერიალური მხარდაჭერა შერჩეული პროექტებისთვის.

„პროგრამა აღიარებს კერძო სექტორის მნიშვნელობას სუფთა ენერჯის პრიორიტეტებისა და საჭიროებების ხელშეწყობის კუთხით. მჭიდრო პარტნიორობის მეშვეობით, პროგრამას და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შეუძლიათ შეიმუშაონ უფრო ეფექტური და მდგრადი გადაწყვეტები ენერგეტიკულ გამოწვევებთან გასამკლავებლად“ - იტყობინება USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამა.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2023 წლის 7 დეკემბერი. კონკურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია [იხილეთ ბმულზე](#).

წყარო: <https://cutt.ly/gwYgwMh2>

## განახლებად ენერჯიებზე ცნობიერების ამაღლების კამპანია გრძელდება

განახლებად ენერჯიებზე ცნობიერების ამაღლების შესახებ კამპანიის მეორე ეტაპი დაიწყო.

პროექტში, რომელიც ევროპის რეგულატორთა საბჭო (CEER) EU4Energy-ს პროგრამის ფარგლებში, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან (სემეკ) თანამშრომლობით ხორციელდება, საქართველოს მასშტაბით რამდენიმე სკოლაა ჩართული.

კამპანია განკუთვნილია სკოლის მოსწავლეებისთვის და განახლებადი ენერჯიების მნიშვნელობის შესახებ სხვადასხვა განმავითარებელ აქტივობებს მოიცავს.

კამპანიის მეორე ეტაპის ფარგლებში, პირველი შეხვედრა თბილისის N182 საჯარო სკოლაში გაიმართა, სადაც სემეკის ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თორნიკე აფრიაშვილმა სკოლის მოსწავლეებს განახლებადი ენერჯიების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

განახლებად ენერჯიებზე ცნობიერების ამაღლების შესახებ ინიციატივა ევროკავშირის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ბიუჯეტი 8.5 მლნ. ევროს შეადგენს. პროექტი ერთობლივად ხორციელდება CEER-ის, საერთაშორისო ენერჯეტიკული სააგენტოს (IEA) და ენერჯეტიკული გაერთიანების სამდივნოს (EnCS) მიერ.

წყარო: <https://cutt.ly/3wYgw9S2>

## კლიმატის ცვლილება

### ევროკავშირისა და ჩინეთის მაღალჩინოსნები კლიმატის სფეროში მოლაპარაკებებს მომავალ კვირას გამართავენ

ევროკავშირისა და ჩინეთის კლიმატის ცვლილების სფეროს უმაღლესი ოფიციალური პირები შეიკრიბებიან პეკინში მომავალ კვირას, გაეროს COP28 კლიმატის სამიტის წინ, განაცხადა ევროკავშირის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

დაახლოებით 200 ქვეყანა შეიკრიბება 30 ნოემბრიდან 12 დეკემბრის ჩათვლით დუბაიში გაეროს კლიმატის მოლაპარაკებებისთვის, რაც მათ აძლევს ყოველწლიურ შანსს დადონ გლობალური შეთანხმებები კლიმატის ცვლილების პრობლემის დასაძლევად.

ევროკავშირის ევროკომისარი კლიმატის საკითხებში ვოპკე ჰუქსტრა მომავალ კვირას გაემგზავრება პეკინში ჩინეთის კლიმატის სფეროს უმაღლეს წარმომადგენელთან სიე ჟენჰუასთან მოლაპარაკებებისთვის, განაცხადა ევროკავშირის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

ეს იქნება მათი პირველი პირისპირ შეხვედრა მას შემდეგ, რაც ჰუქსტრამ, ჰოლანდიის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, გასულ თვეში აიღო პასუხისმგებლობა კლიმატის ცვლილების პოლიტიკაზე ევროკავშირის 27 ქვეყანაში.

შეხვედრა თითოეული მხარისთვის იქნება შესაძლებლობა, გამოაცხადოს თავისი პოზიციები და საფუძველი ჩაუყაროს გარიგებებს COP28-ზე, სადაც ქვეყნები განიხილავენ

სხვადასხვა საკითხებს, მათ შორის, შეთანხმდნენ თუ არა ნახშირორჟანგის ემისიების წყაროს - წიაღისეული საწვავის გამოყენების ეტაპობრივად გაუქმებაზე.

წყარო: eceee.org - <https://cutt.ly/6wYgw8Ic>

## ევროპარლამენტარების მიერ მხარდაჭერილი ჰაერის დაბინძურების სტანდარტი "უსარგებლოზე უარესია"

ევროპარლამენტმა კენჭი უყარა ემისიების შემცირებულ სტანდარტს, რომელიც გამოყენებული იქნება ჰაერის დამაბინძურებელი მანქანების „გამწვანებისთვის“.

ევროკავშირის კანონმდებლებმა ავტომობილების გამონაბოლქვის შესახებ კანონპროექტს უნდა დაარქვან „Euro 6 F“, რათა თავიდან აიცილონ დამაბინძურებელი მანქანების „მწვანე რეცხვა“, განაცხადა მწვანე ჯგუფმა „ტრანსპორტი და გარემო“ (T&E). ევროკავშირის პარლამენტმა მხარი დაუჭირა ეგრეთ წოდებულ „ევრო 7“ სტანდარტს, რომელიც ვერ ახერხებს მნიშვნელოვნად გაზარდოს ჰაერის დაბინძურებისგან დაცვა წინამორბედ ევრო 6-თან შედარებით. ის შეინარჩუნებს აზოტის ოქსიდის (NOx) იგივე ლიმიტს ბენზინის ძრავიანი მანქანებისთვის, როგორც Euro 6 და ოდნავ გააუმჯობესებს ტესტირებას, რაც გადამწყვეტია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ლიმიტები რეალურად დაცულია.

ავტომობილების მწარმოებლები, როგორც წესი, იყენებენ ჰაერის დაბინძურების „ევრო“ სტანდარტს, რათა თავიანთი მანქანები მომხმარებლებისთვის „სუფთა“ გაყიდონ, მაშინ როდესაც მარეგულირებლები ხშირად ეყრდნობიან სტანდარტებს, რათა გადაწყვიტონ, რომელ მანქანებს შეუძლიათ თავისუფლად წვდომა დაბალი ემისიის ზონებში და გადაიხადონ სატრანსპორტო საშუალების გადასახადის დაბალი განაკვეთები.

ანა კრაჟინსკამ, ავტომობილების გამონაბოლქვისა და ჰაერის ხარისხის მენეჯერმა T&E-ში, თქვა: „დღეს მიღებული ევრო 7 სტანდარტი უსარგებლოზე უარესია. საავტომობილო კომპანიები გამოიყენებენ მას მანქანების გამწვანებისთვის, და რომლებიც თითქმის არ არის უფრო სუფთა, ვიდრე ამჟამად არსებული. დაბინძურების ბოლო სტანდარტი, რომელსაც ძრავები უნდა აკმაყოფილებდნენ, არის მკვდარი. კანონმდებლებმა უნდა გამოიჩინონ წესიერება, გადაარქვეს მას ევრო 6F ან გააუქმონ“.

წყარო: eceee.org - <https://cutt.ly/VwYgw5I4>

## ღონისძიებები

[მე-5 საერთაშორისო კონფერენცია - განახლებადი ენერჯია, რესურსები და მდგრადი ტექნოლოგიები](#)

თარიღი: 13-14 ნოემბერი, 2023

ადგილი: სასტუმრო მილენიუმი, პარიზი, საფრანგეთი

[დიალოგური ღონისძიება ხის და სხვა ბიო-სამშენებლო მასალებით რესურს-ეფექტური მშენებლობის შესახებ](#)

თარიღი: 13-15 ნოემბერი, 2023



ორგანიზატორი - [ConnectiveCities](#)

ადგილი: პოტსდამი, გერმანია

[კონფერენცია- ნულოვანი ნახშირბადის მრეწველობა 2023](#)

თარიღი: 15–16 ნოემბერი, 2023

ორგანიზატორი: ევროსაბჭო ენერგოეფექტური ეკონომიკისთვის (ECEEE)

ადგილი: ჯერ არ არის განსაზღვრული

[Behave 2023 - მე-7 ევროპული კონფერენცია ქცევისა და ენერგოეფექტურობის შესახებ](#)

თარიღი: 28–29 ნოემბერი, 2023

ორგანიზატორი: EuropeanEnergyNetwork (EnR)

ადგილი: მასტრიხტი, ნიდერლანდები

